

LINGUOCULTURAL FEATURES AND CONCEPTUAL FIELD OF ITALIAN AND GEORGIAN FOLK TALES

იტალიური და ქართული ზღაპრების ლინგვოკულტურული თავისებურებები და მათი კონცეპტუალური ველი

Marine Sioridze

Doctor of Philological Sciences,
Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
35, Ninoshvili st., Batumi, 6010 Georgia,
+995599240656, marine.sioridze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0003-2189-523X>

Tamar Svanidze

Ph.D. Candidate,
Invited Teacher of Batumi Shota Rustaveli State University,
35, Ninoshvili st., Batumi, 6010 Georgia,
+995597875151 tamar.svanidze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0001-5938-0189>

Abstract. In modern humanities, the linguocultural approach is becoming more important. This approach studies the relationship between language and culture. In this regard, folk tales are important sources of cultural knowledge because they preserve and transmit meanings through language. The language used in these stories is closely connected to culture. Symbols, metaphors, characters, and stereotypical narrative patterns. That show the values of a society.

Italian and Georgian folk traditions are rich and diverse. Although these cultures have developed in different historical, geographical, and social conditions, their tales show both common and different features. These similarities and differences can be clearly seen through comparative linguocultural analysis.

The aim of this study is to analyze Italian and Georgian folk tales from a linguocultural perspective and to compare them. The goal is to show how national mentality and cultural characteristics are reflected in language. The study considers folk tales as cultural texts and focuses on finding linguistic and semantic elements that have cultural meaning.

Keywords: folk tale, Georgian, Italian, language, culture, mentality, symbol, metaphor

მარინე სიორიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 პროფესორი,
 ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, 6010, საქართველო
 +995599240656, marine.sioridze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0003-2189-523X>

თამარ სვანიძე

დოქტორანტი,
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 მოწვეული მასწავლებელი,
 ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, 6010, საქართველო
 +995597875151 tamar.svanidze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0001-5938-0189>

აბსტრაქტი. თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომას, რომელიც ენისა და კულტურის ურთიერთკავშირს იკვლევს. ამ თვალსაზრისით, ხალხური ზღაპარი არის კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი ობიექტი, რადგან მასში ენობრივი ფორმები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული კულტურულ შინაარსთან. ზღაპარში გამოყენებული სიმბოლოები, მეტაფორები, პერსონაჟთა ტიპები და სტერეოტიპული სიუჟეტური სქემები ასახავენ ეროვნული კულტურის ღირებულებით სისტემას.

იტალიური და ქართული ხალხური ზღაპრები მდიდარი და მრავალფეროვანი ტრადიციების მატარებელია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი კულტურა სხვადასხვა ისტორიულ, გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოში ვითარდებოდა, მათ ზღაპრულ ტექსტებში გვხვდება როგორც უნივერსალური, ისე სპეციფიკური კულტურული ნიშნები. სწორედ ამ მსგავსება-განსხვავებებს გამოავლენს შეპირისპირებითი ლინგვოკულტუროლოგია.

წინამდებარე კვლევის მიზანია იტალიური და ქართული ხალხური ზღაპრის ანალიზი ლინგვოკულტურული თვალსაზრისით და მათი შეპირისპირება, რათა გამოიკვეთოს, თუ როგორ აისახება ეროვნული მენტალიტეტი და კულტურული თავისებურებები ენობრივ სტრუქტურებში. კვლევა ემყარება ზღაპრის, როგორც კულტურული ტექსტის გააზრებას და მიზნად ისახავს იმ ენობრივი და სემანტიკური ერთეულების გამოვლენას, რომლებიც კულტურულად არის მარკირებული.

საკვანძო სიტყვები: ზღაპარი. ქართული, იტალიური. ენა, კულტურა, მენტალიტეტი, სიმბოლო, მეტაფორა

შესავალი. ხალხური ზღაპარი წარმოადგენს ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქანრს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ინახავდა და გადასცემდა ხალხის მიერ დაგროვილ გამოცდილებას, მსოფლმხედველობას, მორალურ ღირებულებებსა და კულტურულ სტერეოტიპებს.

ფოლკლორული ტექსტი წარმოადგენს კულტურულ მატარებელს, რომელიც ირიბად გადასცემს საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებსა და ღირებულებებს და აძლევს ინდივიდს წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ცხოვრება ამ კულტურის ფარგლებში. მასში ასახულია ქცევითი ნორმები და ზნეობრივი საზღვრები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია პიროვნული და სოციალური ჰარმონიისთვის. როგორც კულტურული მემკვიდრეობის არსებითი ნაწილი, ფოლკლორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თაობათა მორალური ცნობიერების ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ფსიქოლოგიურ გავლენას საზოგადოების მენტალიტეტის ფორმირებაზე. ტექსტში წარმოჩენილი პრობლემები და მათი გადაჭრის მოდელები ეხმარება ადამიანს სამყაროს გააზრებაში და ყოველდღიური სირთულეების დაძლევაში, ხოლო კეთილი ფინალი აღძრავს უკეთესი მომავლის იმედს და პოზიტიური გმირების მიბაძვის სურვილს.

აქედან გამომდინარე ხალხური ზღაპარი არის კულტურულად მარკირებული ტექსტი, რომელშიც ენობრივი საშუალებების მეშვეობით აისახება კონკრეტული ეთნოსის მენტალიტეტი, სოციალური ურთიერთობები და ისტორიულად ჩამოყალიბებული წარმოდგენები სამყაროზე.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებებზე, პერსონაჟთა ტიპოლოგიაზე, სიმბოლურ ელემენტებზე. მიღებული შედეგები ხელს უწყობს ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის უკეთ გააზრებას და ცხადყოფს, რომ ხალხური ზღაპარი წარმოადგენს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელ წყაროს ლინგვოკულტუროლოგიური კვლევებისთვის.

კვლევის ამოცანებია შერჩეულ ზღაპრებში სიუჟეტური მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენა; ზღაპრის კონცეპტუალური ველის გამოვლენა; პერსონაჟთა ტიპოლოგიისა და მათი ფუნქციის ანალიზი; ჯადოსნური ელემენტების (ნივთები, რიცხვები, გამეორება) კულტურული მნიშვნელობის დადგენა; ზღაპრის დაწყებისა და დასასრულის ფორმულების გაანალიზება; უნივერსალური ზღაპრული მოტივებისა და ეროვნული სპეციფიკის იდენტიფიცირება.

საკვლევ მასალას წარმოადგენს ოთხი ხალხური ზღაპარი: ორი იტალიური - „Giovannin senza paura“ („უშიშარი ჯოვანინი“) და „Il pastore che non cresceva mai“ („მწყემსი, რომელიც ვერ გაიზარდა“), და ორი ქართული - „ნაცარქექია“ და „წიქარა“. ზღაპრები შერჩეულია სიუჟეტური პარალელებისა და მოტივური მსგავსებების საფუძველზე.

იტალიური ზღაპარი „Giovannin senza paura“ და ქართული ზღაპარი ნაცარქექია ერთმანეთთან პარალელურად განიხილება, რადგან ორივე ტექსტში მთავარი გმირი უპირისპირდება ძლიერ ანტაგონისტს (დევს, გიგანტს) და გამარჯვებას აღწევს არა ფიზიკური ძალით, არამედ მოხერხებულობითა და გონიერებით. ორივე შემთხვევაში გმირი მდიდრდება ანტაგონისტის ქონების დაუფლებით, რაც სოციალური აღმასვლის მოტივს უკავშირდება.

მეორე პარალელური წყვილი - წიქარა და „Il pastore che non cresceva mai“ - ერთმანეთს უახლოვდება დევნის ეპიზოდით, სადაც მდევარისგან თავის დასაღწევად, მთავარი გმირი სამ ჯადოსნური ნივთს იყენებს, ჯადოსნური ნივთების როლი მსგავსია ორივე ზღაპარში. აღნიშნული მოტივი - სამი საგნის გადაგდება, რომლებიც მდევარს სირთულეებს უქმნიან - მნიშვნელოვანი სიუჟეტური და სიმბოლური ელემენტია ორივე ზღაპარში.

ამასთანავე, სამი ჯადოსნური ნივთის მოტივი გვხვდება ნაცარქექიაშიც, სადაც ისინი გამოიყენება დევნის დასამარცხებლად.

ოთხივე ზღაპრის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რიგი უნივერსალური ზღაპრული ნიშნები, მათ შორის რიცხვის „სამი“ სიმბოლური მნიშვნელობა, გამეორების პრინციპი და ჯადოსნური ნივთების ფუნქცია. ამავე დროს, კვლევამ აჩვენა ეროვნული სპეციფიკა, კერძოდ, ქართულ ზღაპრებში რიცხვის „ცხრა“ ხშირი გამოყენება, რაც იტალიურ ზღაპრებში არ ფიქსირდება და კულტურულ თავისებურებას წარმოადგენს.

მეთოდები. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ლინგვოკულტურული კვლევის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ხალხური ზღაპრები განიხილება როგორც კულტურულად მარკირებული ტექსტები, რომლებიც ასახავენ ენისა და კულტურის ურთიერთკავშირს.

კვლევაში ასევე გამოყენებულია შეპირისპირებითი (კომპარატიული) მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს საერთო და განსხვავებული ნიშნები იტალიურ და ქართულ ხალხურ ზღაპრებს შორის სიუჟეტური, მოტივური და კულტურული ასპექტების მიხედვით.

ზღაპრების ტექსტების ანალიზისას გამოყენებულია სემანტიკური და ტექსტის ანალიზის მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ლექსიკურ ერთეულთა, სიმბოლური ელემენტებისა და კომპოზიციური სტრუქტურის გააზრებას.

დამხმარე მეთოდებად გამოყენებულია აღწერითი და ინტერპრეტაციული მეთოდები, რომელთა მეშვეობით ხდება მიღებული შედეგების სისტემატიზაცია და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით ახსნა.

შედეგი. იტალიური და ქართული ხალხური ზღაპრების შეპირისპირებითი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა გამოავლენს ზღაპრებში არსებულ სიუჟეტურ, ენობრივ და კულტურულ პარალელებსა და განსხვავებებს, ასევე, დადგენს იმ უნივერსალურ და უნიკალურ მახასიათებლებს, რომლებიც თითოეულ ფოლკლორულ ტრადიციას განასხვავებს. ანალიზი აჩვენებს, რომ ოთხივე ზღაპარში მოქმედებს საერთო ზღაპრული უნივერსალიები: გმირის სუსტი საწყისი პოზიცია, ანტაგონისტთან დაპირისპირება არა ძალით, არამედ გონიერებით, დევნის სიუჟეტური სტრუქტურა, „სამი ნივთის“ მოტივი და სამჯერ გამეორების პრინციპი. კვლევის შედეგი ადასტურებს, რომ ხალხური ზღაპარი სხვადასხვა კულტურაში იზიარებს საერთო ნარატიულ ლოგიკას და არქეტიპულ მოდელებს.

მსჯელობა. ლინგვოკულტუროლოგიაში ერთ-ერთ ცენტრალურ ცნებას წარმოადგენს კონცეპტი, რომელიც განიხილება როგორც გამოცდილების საფუძველზე კოლექტიურ ცნობიერებაში არსებული მენტალური ერთეული. კონცეპტები ტექსტში ვლინდება არა იზოლირებულად, არამედ ქმნიან კონცეპტუალურ ველს - ურთიერთდაკავშირებულ კონცეპტთა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს ტექსტის სემანტიკურ და ღირებულებით სტრუქტურას.

კონცეპტუალური ველი ზღაპრულ დისკურსში (ქართული და იტალიური მასალის საფუძველზე). ზღაპარი, როგორც ფოლკლორული დისკურსი, განსაკუთრებით მდიდარია კონცეპტუალური ველებით, რადგან მასში ერთდროულად აისახება ეთნოსის მორალური კოდექსი, მითოლოგიური წარმოდგენები და კულტურული სტერეოტიპები. კონცეპტუალური ველები სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულ მნიშვნელობით გვევლინება.

ქართულ ზღაპარში „წიქარა“ ბირთვულ კონცეპტად გვევლინება მეგობრობა, ერთგულება, თავდადება. ხარი წიქარა არ არის მხოლოდ დამხმარე, არამედ სრულფასოვანი ენობრივი პიროვნება, რომელიც აზროვნებს, საუბრობს და მსხვერპლად წირავს თავს მეგობრის გადასარჩენად. აქ მეგობრობა დაკავშირებულია ისეთ

კონცეპტებთან, როგორებიცაა მორალური პასუხისმგებლობა და ერთგულება სიკვდილამდე, რაც ქართულ ლინგოკულტურაში კოლექტიური ღირებულებების პრიორიტეტულობას ასახავს.

ჩვენს მიერ შერჩეულ იტალიურ ზღაპრებში მეგობრობის კონცეპტი არ ფიგურირებს. აქ უფრო ინდივიდუალურ გამოცდილებაზეა ორიენტირებული. „*Giovannino senza paura*“-ში მთავარი გმირი პრაქტიკულად მარტო მოქმედებს; მისი ურთიერთობა ზებუნებრივ პერსონაჟებთან არ ეფუძნება ემოციურ კავშირს, არამედ სიტუაციურ გამოცდილებას. აქ კონცეპტუალური ველის ცენტრია ემოცია უფრო სწორად უემოციურობა, უშიშრობა, როგორც ინდივიდუალური თვისება, რაც დასავლურ კულტურაში პიროვნული გამბედაობისა და ავტონომიის მნიშვნელობაზე მიანიშნებს, თუმცა გმირის ეს თვისება არ არის დადებითად ან უარყოფითად შეფასებული. ზღაპრის მორალი ვფიქრობთ რომ არის “შიში გარდაუვალია და ყველა ადამიანს ახასიათებს.”

მნიშვნელოვან კონცეპტუალურ ველს ქმნის აგრეთვე გარდაქმნა და მდგომარეობის შეცვლა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, როგორც ქართულ, ისე იტალიურ ზღაპრებში გმირი გადის გარდაქმნას, თუმცა ამ პროცესის სემანტიკა განსხვავებულია. „*ნაცარქექია*“-ში გარდაქმნა დაკავშირებულია სოციალური მდგომარეობის შეცვლა, სტერეოტიპის დარღვევას, ზარმაცი და უუნარო პერსონაჟი გონიერებითა და ენობრივი მანიპულაციით აღწევს წარმატებას. რაც ფასდება ქართულ კულტურაში ამას მოწმობს ანდაზაც “ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა” აქ კონცეპტი ჭკუა უპირისპირდება ფიზიკურ ძალას, რაც ქართულ კულტურაში სიბრძნისა და მოხერხებულობის დაფასებაზე მეტყველებს.

იტალიურ ზღაპარში „*Il pastore che non cresceva mai*“ ტრანსფორმაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ფიზიკურ ზრდასთან. გმირი ფიზიკურად ვერ იზრდება მანამ, სანამ მორალურ და სოციალურ გამოცდებს არ გაივლის. ეს ასახავს კულტურულ მოდელს, სადაც პიროვნული განვითარება შედეგია ინდივიდუალური ძალისხმევებისა და დაბრკოლებების გადალახვისა.

ქართულ და იტალიურ ზღაპრებში კონცეპტუალური ველები კულტურულ ღირებულებებს განსხვავებულად წარმოაჩენს. ქართულ ზღაპრებში პრიორიტეტულია კოლექტიური კონცეპტები - მეგობრობა, ერთგულება და სიბრძნე, ხოლო იტალიურ ზღაპრებში აქცენტი ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, პიროვნულ გამბედაობასა და თვითგანვითარებაზე გადადის. ეს განსხვავება ნათლად ასახავს ორი კულტურის ლინგოკულტურულ თავისებურებებს

გმირის, ანტაგონისტისა და გამარჯვების კულტურული მოდელები (*Giovannin senza paura* და *ნაცარქექია*). ქართული და იტალიური ხალხური ზღაპრების შედარება ნათლად აჩვენებს, რომ მიუხედავად სიუჟეტური მსგავსებისა, გმირისა და ანტაგონისტის ურთიერთობა განსხვავებულ კულტურულ მსოფლმხედველობაზეა აგებული. *ნაცარქექიას* და *Giovannin senza paura*-ს შემთხვევაში გამარჯვების მომტანი არის არა ფიზიკური ძალა, არამედ გონიერება, ქვევითი სტრატეგია და კულტურულად ჩამოყალიბებული ღირებულებები. „ჯადოსნური ზღაპარი არის ხალხური მოთხრობა, რომელიც ზიანის მიყენებით ან უქონლობით იწყება და მთავრდება ქორწილით ან კონფლიქტის გადაწყვეტით“ (პროპი, 1984: 33).

ორივე ზღაპარში მთავარი გმირი საწყის ეტაპზე არ წარმოადგენს ძალის ან სოციალური სტატუსის მქონე ფიგურას. *ნაცარქექია* აღწერილია როგორც ღარიბი, უსაქმური და „მუქთამჭამელი“ კაცი, რომელიც „ცისმარე დღე კერასთან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა“. მისი მეტსახელიც პირდაპირ გამომდინარეობს ქვევიდან და ასახავს მის სოციალურ მდგომარეობას. საზოგადოება - ამ შემთხვევაში ძმები - მას მუქთამჭამელად აღიქვამს და სახლიდან აგდებს. სწორედ ეს ხდება სიუჟეტის საწყისი

იმპულსი. ნაცარქექია არ ტოვებს სახლს გმირული მისიის გამო, არამედ იძულებით, რაც ქართულ ზღაპრებში ხშირად გვხვდება და სოციალურ კონფლიქტს უსვამს ხაზს.

Giovannin senza paura-ში საწყისი მდგომარეობა განსხვავებულია. გმირის მთავარი თვისება უკვე სათაურშივეა მოცემული - იგი უშიშარია. ჯოვანინო არ არის სოციუმიდან გარიყული, ან გაჭირვებული; ის საკუთარი ნებით მოგზაურობს “Girava per il mondo e capitò a una locanda a chiedere alloggio” (ის მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა და ერთ სასტუმროს წააწყდა, რომელშიც საცხოვრებელს ითხოვდნენ.). მისი თვისება შიშის არქონაა. ის ვერ ახერხებს ღამის გასათევის შოვნას სასტუმროში “Locanda” ადგილების არქონის გამო და იძულებულია შევიდეს მოჯადოებულ სასახლეში, სადაც მანამდე ყველა შემსვლელი იღუპებოდა. ამგვარად, თუ ნაცარქექიას გზა იწყება სოციალური დამაბულობიდან, ჯოვანინოს გზა იწყება ფსიქოლოგიური თავისებურებიდან - შიშის სრული არქონიდან.

ანტაგონისტის სახე ორივე ზღაპარში განსხვავებული ფორმით არის კონსტრუირებული. *ნაცარქექიაში* ანტაგონისტი არის ცხრათავიანი დევი -ტრადიციული ქართული ზღაპრის პერსონაჟი, რომელიც ფიზიკური ძალის, საშიშროებისა და უკიდურესობის სიმბოლოა ქართულ კულტურაში. რიცხვი ცხრა აქ აძლიერებს დევის ზებუნებრივ და დამაშინებელ ბუნებას. თუმცა, მიუხედავად გარეგნული სიძლიერისა, დევი ინტელექტუალურად სუსტია და ადვილად ექცევა სიტყვიერი და ქცევითი მანიპულაციის გავლენის ქვეშ.

ნაცარქექია დევს არ ამარცხებს ძალით. მისი გამარჯვება ეფუძნება მოხერხებულობასა და ენობრივ თამაშს. ჭყინტი ყველი გმირს საშუალებას აძლევს ძალის ილუზია შექმნას - თითქოს ქვას წურავს; ნაცარი გამოიყენება სირბილისას მტვერის ბულის დასაყენებლად, ჩხირი კი სიმძიმის მოჩვენებით ეფექტს ქმნის. ამ გზით ნაცარქექია ქმნის სურათს, “იმიჯს”, რომ იგი ფიზიკურად უძლიერესია, რაც დევს ფსიქოლოგიურად ანგრევს. დევი იმდენად იჯერებს ამ უპირატესობას, რომ ტოვებს საკუთარ სახლ-კარს და „ცხრა მთას იქით გადაიხვეწება“. აქ კონფლიქტის მოგვარება ხდება სიტყვიერად და გონებით, რაც ქართულ ფოლკლორში ძალზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა.

Giovannin senza paura-ში ანტაგონისტი განსხვავებული ბუნებისაა. იგი მოჯადოებული გოლიათია, რომელიც დაშლილია სხეულის ნაწილებად - ხელებად, ფეხებად, ტანად და თავად - და თანდათან იკრიბება. ეს დაშლილობა სიმბოლოურად შეიძლება აღვიქვათ როგორც არამდგრადი, არამთლიანი ბოროტება. ჯოვანინო მას არ ებრძვის არც ძალით და არც ხრიკით. მისი სტრატეგია არის დაუმორჩილებლობა. გმირი არ ასრულებს გოლიათის ბრძანებებს („Apri tu!“, „Scendi tu!“) და პირიქით, აიძულებს ანტაგონისტს თავად შეასრულოს მოქმედებები. ამგვარად, ჯადოს მოხსნა ხდება არა ფიზიკური დაპირისპირებით, არამედ ქცევითი პოზიციით - შიშის არქონით და ავტორიტეტის უარყოფით.

ორივე ზღაპარში ანტაგონისტის ქონების დაუფლება გმირის ცხოვრების გარდამტეხ მომენტს წარმოადგენს. *ნაცარქექიაში* დევის სახლი და სიმდიდრე გმირის ხელში გადადის, თუმცა ნაცარქექია საბოლოოდ ამ ქონებას ძმებს უთმობს და თავად უბრუნდება ნაცრის ქექვას. ეს გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ სიმდიდრე მისთვის მიზანი არ არის; ის რჩება იმავე იდენტობაში, რაც დასაწყისში ჰქონდა. აქ მნიშვნელოვანია არა სოციალური აღმასვლა, არამედ შინაგანი თავისუფლება.

Giovannin senza paura-ში გოლიათის მიერ ნაპოვნი სამი ოქროს ქვაბი სიმდიდრის სიმბოლოა, თუმცა მათ განსხვავებული დანიშნულება აქვთ, გოლიათი გაქრობის წინ დაუბარებს გმირს, ერთი გმირისთვის, ერთი დამკრძალავებისთვის და ერთი პირველი გამვლელი გაჭირვებულისთვის. ეს განაწილება მიაწინებს სოციალური პასუხისმგებლობის იდეაზე, თუმცა ზღაპრის დასასრული ირონიულია. ჯოვანინო, რომელიც მთელი ტექსტის განმავლობაში უშიშარია, საბოლოოდ საკუთარი ჩრდილის დანახვაზე შეშინდება და მოკვდება. ეს ფინალი ანგრევს ტრადიციულ ზღაპრულ

მოლოდინს და ხაზს უსვამს, რომ უშიშრობა თავისთავად არ არის სრულფასოვანი ღირებულება.

მორალური თვალსაზრისით ორივე გმირი ხალხური ზღაპრის კონტექსტში დადებითად არის შეფასებული, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეთიკური კატეგორიებით მათი ქცევები ყოველთვის გამართლებული არ იქნებოდა. ხალხური ზღაპარი აქ აფასებს არა აბსტრაქტულ მორალს, არამედ გადარჩენის უნარს, გონიერებასა და სიტუაციასთან ადაპტაციის შესაძლებლობას.

დევნის სიუჟეტური სტრუქტურა და ჯადოსნური ნივთები (*წიქარა და Il pastore che non cresceva mai*). დევნისა და გაქცევის ეპიზოდი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და დინამიკური მოტივია როგორც ქართულ, ისე იტალიურ ხალხურ ზღაპრებში. *წიქარასა* და *Il pastore che non cresceva mai*-ში ეს ეპიზოდი არა მხოლოდ მოქმედების დამაბულობას ქმნის, არამედ ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ფუნქციონირებს მაგიური ნივთები და სიუჟეტური გამეორება ზღაპრებში.

წიქარაში დევნის ეპიზოდი იწყება სიცოცხლისთვის პირდაპირი საფრთხით. ბოროტი დედინაცვალი, რომელსაც გერის თავიდან მოშორება სურს თავს მოიავადმყოფებს, ხოლო როდესაც გაიგებს რომ გერი და წიქარა გაიქცნენ, ღორს დაადევნებს ბიჭისა და წიქარას მოსაკლავად. აქ ანტაგონისტი არ არის ზებუნებრივი არსება, არამედ ბოროტი ადამიანი, რაც ქართულ ზღაპრებში ხშირია. გაქცევა ხდება იძულებითი და უკიდურესი ზომა გადარჩენისთვის.

გმირს თან აქვს სამი ნივთი: ერთი სალესავი ქვა, ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი. ეს ნივთები ეტაპობრივად გამოიყენება და თითოეული მათგანი სივრცეს გარდაქმნის. ბოთლიდან გადაღვრილი წყალი იქცევა ზღვად, სავარცხელი - უღრან ტყედ, ხოლო სალესი ქვა - თვალუწვდენელ კლდედ. ამგვარად, ნივთები არ მოქმედებენ უშუალოდ მდევარზე, არამედ ცვლიან გარემოს და ქმნიან ბარიერს მდევარისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პირველი ორი დაბრკოლება მტერს ვერ აჩერებს საბოლოოდ - მხოლოდ მესამე ნივთის გამოყენების შემდეგ იღუპება ღორი. ეს სამნაწილიანი სტრუქტურა აძლიერებს დამაბულობას და ამყარებს ზღაპრულ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც გადამწყვეტი შედეგი ხშირად მესამე მცდელობისას დგება.

მსგავსი სიუჟეტური მოდელი გვხვდება *Il pastore che non cresceva mai*-შიც. აქ დევნის მიზეზი განსხვავებულია: მწყემსმა მოიპარა ჯადოსნური გალია, რომელშიც სამი მომღერალი ვაშლია მოთავსებული, რის გამოც მოხუცი ჯადოქარი მას ცხენებს დაადევნებს. ამ შემთხვევაში დევნა დაკავშირებულია აკრძალული ნივთის დაუფლებასთან და ზღაპრის გმირის ინიციატივასთან.

იტალიურ ზღაპარშიც გმირს ეხმარება სამი ნივთი: ქვა, სპილოს ძვლის სავარცხელი და ნისლი. მათი ფუნქცია სტრუქტურულად ემთხვევა *წიქარაში* გამოყენებულ ნივთებს. ქვა გარდაიქმნება კლდოვან მთად და ფიზიკურად აბრკოლებს მდევრებს; სავარცხელი იქცევა სრიალა ზედაპირად, რომელზეც ცხენები ფეხს ვერ იკიდებენ; ნისლი კი ართულებს მხედველობას და გზას უბნევს მდევრებს. აქაც მოქმედება თანმიმდევრულია და თითოეული ნივთი დროის მოგებასა და სივრცის შეცვლას ემსახურება.

ორივე ზღაპარში საგულისხმოა ის, რომ ნივთები არ გამოიყენება ერთდროულად, არამედ მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით. ეს თანმიმდევრობა ქმნის სიუჟეტურ რიტმს და მკითხველში მოლოდინს აჩენს. ნივთების მოქმედება არ აძლიერებს ერთმანეთს პირდაპირ, მაგრამ ყოველი ახალი ბარიერი უფრო სერიოზულ საფრთხეს უქმნის მდევარს, ვიდრე წინა.

დევნის ეპიზოდებში ორივე კულტურაში აშკარად იკვეთება გამეორების პრინციპი. *წიქარაში* მტერი ორჯერ არ ჩერდება და მხოლოდ მესამე დაბრკოლებისას იღუპება; *Il pastore che non cresceva mai*-ში ჯადოქარი სამჯერ აგზავნის მდევრებს. ეს სამჯერ გამეორება

ზღაპრის უნივერსალური სტრუქტურაა და უკავშირდება როგორც რიტმულობას, ისე სიმბოლურ სრულყოფას.

ამრიგად, დევნის ეპიზოდი ორივე ზღაპარში არა მხოლოდ სიუჟეტური დამაბულობის მატარებელია, არამედ კულტურული მნიშვნელობის მქონე სტრუქტურაც, რაც ნათლად აჩვენებს, თუ როგორ მუშაობს ხალხური ზღაპრის ნარატიული მექანიზმი ქართულ და იტალიურ ტრადიციებში.

არსებობს როგორც ჯადოსნური, ისე ცხოველთა და საყოფიერო-რეალისტური ზღაპრები. პროფესორ ქეთევან სიხარულიძის აზრით, „ზოგ მათგანში შეხვდებით ეროვნულ ხასიათს, მაგრამ ძირითადი რაოდენობა ყველა ტიპის ზღაპრებისა იმეორებს საყოველთაო სიუჟეტებს. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ საერთაშორისო ფოლკლორში მიღებულ შვიდ თემატურ ბუდეში საქართველოში 135 სიუჟეტური ტიპია დაფიქსირებული, რომელთა შორის 100 ტიპოლოგიური სიუჟეტია (ანუ ისინი სხვა ხალხთა ზღაპრების მსგავსია), 35 - ორიგინალური (ანუ ეს სიუჟეტები მხოლოდ ქართულ ეპოსშია დადასტურებული)... ყველა ჯადოსნური ზღაპარი ერთმანეთს ჰგავს, მსგავსია სიტუაციები, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებანი, ყოველ მათგანში წარმოდგენილია სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება და სიკეთის გამარჯვება“ (ნოზაძე თ. ინტერვიუ ქ. სიხარულიძესთან, 2013).

ზღაპრის დრო-სივრცე, რიცხვთა სიმბოლიკა და სიუჟეტური გამეორება. „ზღაპრის დრო არ არის წარსული დრო რეალური დროის მიმართ. ის ჰერმეტიკული, ჩაკეტილი დროა, მას აქვს დასაწყისი, რომელიც უდროობიდან მოდის და დასასრული, რომელიც მარადიულობაში გადადის. „დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ“, ან „დღესაც ქორწილი გრძელდება“ - მინიშნებს ამ მარადიულობაზე“. (კიკნაძე, 2007: 89)

ხალხური ზღაპრის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს დროისა და სივრცის ორგანიზება, რომელიც მკვეთრად განსხვავდება რეალისტური თხრობისგან. შერჩეულ ქართულ და იტალიურ ზღაპრებში დრო და სივრცე არ ემსახურება მოვლენათა ზუსტ ქრონოლოგიას, არამედ ქმნის ზღაპრულ გარემოს, სადაც მოქმედება განსხვავდება რეალური კანონზომიერებისგან. ამასთან, განსაკუთრებულ როლს ასრულებს რიცხვთა სიმბოლიკა და სიუჟეტური გამეორების პრინციპი.

ქართული ხალხური ზღაპრები გამოირჩევა დროისა და სივრცის განუსაზღვრელი ნარატიული კონსტრუქციებით. გამოთქმები, როგორცაა „ბევრი იარა თუ ცოტა იარა“, „ცხრა მთას იქით“, ქმნის უსასრულო გზის და შორეული სივრცის განცდას. ეს ფორმულები მკითხველს არ აძლევს კონკრეტულ გეოგრაფიული ან ქრონოლოგიური აღქმის საშუალებას, არამედ გადააქვს მოქმედება სიმბოლურ სამყაროში, სადაც მთავარი მნიშვნელობა აქვს არა ადგილს, არამედ გამოცდილებას რომელსაც გმირი იღებს.

ნაცარქექიაში სივრცე ხშირად უკავშირდება საფრთხესა და გამოცდას - მდინარე, დევის სამფლობელო, შორეული მხარეები. ფრაზა „ცხრა მთას იქით გადაიხვეწა“ არა მხოლოდ ფიზიკურ დაშორებას აღნიშნავს, არამედ ბოროტების საბოლოო გაქრობასაც. *წიქარაში* სივრცე გარდაიქმნება გმირის გადაადგილებასთან ერთად: მინდორი, ზღვა, ტყე და კლდე წარმოაჩენს სამყაროს, ცხრაკლიტული ქართულ ზღაპრულ სივრცეში, საპყრობელოს მეტაფორად გამოიყენება.

იტალიურ ზღაპრებში დროისა და სივრცის ორგანიზება შედარებით კონკრეტულია. *Giovannin senza paura*-ში გვხვდება ლოკაციები, როგორცაა locanda, palazzo, sottoscala, sotterraneo, რაც მოქმედებას გარკვეულ რეალისტურ ჩარჩოში აქცევს. თუმცა, მიუხედავად ამ კონკრეტულობისა, სივრცე მაინც ინარჩუნებს ზღაპრულ ფუნქციას - სასახლე არის მოჯადოებული, მიწისქვეშა ოთახები მალავს განძს. *Il pastore che non cresceva mai*-ში სივრცე ასევე მრავალფეროვანია: ხიდეები, მდინარე, წისქვილი, ჯადოქრის სახლი, რაც გმირის გზას ეტაპებად ყოფს და სიუჟეტურ პროგრესს ქმნის.

დროის აღქმა ორივე კულტურაში არათანმიმდევრობითია, მოვლენები ვითარდება არა კონკრეტული დროის მონაკვეთებში, არამედ მოქმედებების თანმიმდევრობით გაურკვეველ დროს. განსაკუთრებით საინტერესოა დასასრულის ფორმულები: *წიქარაში* ფრაზა „ბიჭი ახლაც იმ ალვის ხეზე ზის“ ქმნის დაუსრულებლობისა და მარადიული ბედნიერების განცდას. ეს ფორმულა აჩერებს დროის მსვლელობას და გმირს მუდმივად აწმყოში ტოვებს.

იტალიურ ზღაპრებში დასასრული ხშირად არღვევს ტრადიციულ ზღაპრულ მოლოდინს. *Giovannin senza paura*-ს ფინალი ირონიული და ტრაგიკულიც კი არის, მთავარი გმირის გარდაცვალებით სრულდება ზღაპარი, ირონია კი ის არის რომ მას არასდროს არ ეშინოდა და საკუთარი ჩრდილის დანახვით გამოწვეული შიშით კვდება. ეს მოულოდნელი დასასრული ხაზს უსვამს ზღაპრის მორალურ პარადოქსს და გვიჩვენებს, რომ შიში, როგორც ემოცია, გარდაუვალია, და ცოცხალი ადამიანისთვის აუცილებელი ელემენტია. *Il pastore che non cresceva mai*-ში კი დროის სვლა უკუდამი მიდის, გმირი დაწყევლის შემდეგ პატარავდება, დრო კვლავ აღდგება წყევლის მოხსნის შემდეგ — გმირი იწყებს ზრდას და ქორწინდება, ზღაპრის კეთილი დასასრული და მთავარი გმირის ქორწინება და ულავი ბედნიერება.

რიცხვთა სიმბოლიკა ორივე კულტურაში მნიშვნელოვან ნარატიულ ფუნქციას ასრულებს. ოთხივე ზღაპარში აშკარად დომინირებს რიცხვი სამი. იგი გვხვდება როგორც ნივთების რაოდენობაში (სამი ჯადოსნური ნივთი, სამი ოქროს ქვაბი), ასევე მოქმედებათა გამეორებაში (სამი დაბრკოლება, სამი მცდელობა). რიცხვი სამი ქმნის სიუჟეტურ რიტმს და აღიქმება როგორც სრულყოფილების მინიმალური ერთეული, რის შემდეგაც ხდება გადამწყვეტი ცვლილება.

ამასთან, ქართულ ზღაპრებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რიცხვს „ცხრა“. *ნაგარქექიაში* ცხრათავიანი დევი წარმოადგენს უკიდურეს საფრთხეს, ხოლო „ცხრა მთას იქით“ სივრცის მაქსიმალურ დაშორებას აღნიშნავს. *წიქარაში* ცხრაკლიტული და განსაკუთრებით მეცხრე კარი საბოლოო ბარიერის სიმბოლოდ გვევლინება, რომლის გადალახვა მხოლოდ ერთგულებისა და მოთმინების გზითაა შესაძლებელი. რიცხვი ცხრა ქართულ კულტურულ ცნობიერებაში ხშირად ასოცირდება ზღვართან, დასასრულთან და უკიდურესობასთან.

იტალიურ ზღაპრებში რიცხვი „ცხრა“ არ ფლობს მსგავს სიმბოლურ დატვირთვას. აქ სიუჟეტური ორგანიზება უფრო მეტად ეფუძნება სამეულის სტრუქტურას, რაც განსხვავებულ კულტურულ რიტმს და ნარატიულ ტრადიციას წარმოაჩენს. ამგვარად, რიცხვთა გამოყენება არა მხოლოდ ზღაპრული უნივერსალია, არამედ კულტურული იდენტობის მაჩვენებელიც.

ამრიგად, დროისა და სივრცის ორგანიზება, რიცხვთა სიმბოლიკა და გამეორების პრინციპი ქართულ და იტალიურ ხალხურ ზღაპრებში ქმნის განსხვავებულ ნარატიულ მოდელებს. ქართული ზღაპრები მეტად უსასრულო, სიმბოლური და ზღვრულ სივრცეებზეა ორიენტირებული, ხოლო იტალიური ზღაპრები - შედარებით კონკრეტულ, თუმცა მაინც ჯადოსნურ გარემოზე. ორივე შემთხვევაში ეს ელემენტები ემსახურება ერთ მიზანს: გმირის გამოცდას და ზღაპრული სამყაროს კანონების წარმოჩენას.

ენობრივი და კულტურული კოდები ქართულ და იტალიურ ხალხურ ზღაპრებში. ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ენობრივი საშუალებები და კულტურული ნიშნები, რომელთა მემკვიდრეობითაც ხალხური ზღაპარი არა მხოლოდ სიუჟეტს გადმოსცემს, არამედ კოლექტიურ გამოცდილებას, ღირებულებებსა და სამყაროს აღქმის თავისებურ მოდელებსაც აყალიბებს. შერჩეულ ქართულ და იტალიურ ზღაპრებში ეს კოდები ვლინდება ზღაპრის დაწყებისა და დასრულების ფორმულებში, შეფასებით ლექსიკაში, ფრაზეოლოგიზმებში, პერსონაჟთა სახელდებაში და მატერიალური კულტურის ელემენტებში.

ზღაპრის დაწევა და დასრულება როგორც კულტურული ფორმულა. ზღაპარი სამი ნაწილისგან შედგება: 1) დასაწყისი, რომელსაც ეწოდება „წინკარი“; 2) თავად ზღაპრის შინაარსი და 3) დასასრული, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „გამოთხოვება ზღაპართან“ (კიკნაძე, 2007: 78).

ქართული ხალხური ზღაპრები, როგორც წესი, იწყება ტრადიციული ფორმულით: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“. ეს დასაწყისი მკითხველს ან მსმენელს რეალური სამყაროდან ზღაპრულ სივრცეში გადაჰყავს და თავიდანვე უსვამს ხაზს თხრობის პირობითობას. მსგავსი ფორმულა გვხვდება როგორც *წიქარაში*, ისე *ნაცარქექიაში* და წარმოადგენს ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში დამკვიდრებულ სტაბილურ ნარატიულ ჩარჩოს.

ასევე არსებობს დასასრულის ფორმულები. *ნაცარქექია* სრულდება გამოთქმით „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“, რაც მკვეთრად ყოფს ზღაპრულ და რეალურ სამყაროს, ზღაპარი კეთილი დასასრულით სრულდება და მკითხველი თუ მსმენელი უბრუნდება რეალურ სამყაროს.

წიქარაში კი გვხვდება განსხვავებული ტიპის დასასრული: „ბიჭი ახლაც იმ ალვის ხეზე ზის...“, რაც ქმნის დაუსრულებლობისა და მარადიული ბედნიერების სიმბოლოს. აქ დრო თითქოს ჩერდება, ხოლო ზღაპრული სამყარო აგრძელებს არსებობას.

იტალიურ ზღაპრებში დასაწყისი („C'era una volta“) უფრო მოკლე და ნაკლებად რიტუალურია, თუმცა ფუნქციურად იგივეა - ის ქმნის ზღაპრულ სივრცეს. დასასრული კი ხშირად ირონიულია. *Giovannin senza paura*-ში ფინალი მოულოდნელია და ტრაგიკულიც კი, ხოლო „Il pastore che non cresceva mai“-ში მთხრობელი საკუთარ თავს სიუჟეტში რთავს „io stavo sotto il tavolo, mi tirarono un osso e mi picchiò sul naso, e m'è rimasto lì“ („მაგიდის ქვეშ ვიყავი, ძვალი მესროლეს და ცხვირში მომხვდა, და ის იქ დარჩა“). რაც ზეპირსიტყვიერ ტრადიციას უსვამს ხაზს.

ფრაზეოლოგიზმები, ევფემიზმები და დისფემიზმები ქართულ ზღაპრებში. ქართული ხალხური ზღაპრები განსაკუთრებულად მდიდარია ფრაზეოლოგიზმებით, რომლებიც ტექსტს ემოციურობასა და ექსპრესიულობას სძენს. *წიქარასა* და *ნაცარქექიაში* ხშირია გამოთქმები: „გონს ვერ მოსულიყო“, „სიკვდილი თვალწინ გვიდგას“, „შურით აევსო თვალები“, „ენა დავამოკლებინო“, „ცხრა მთას იქით გადაიხვეწა“. ეს ფრაზეოლოგიზმები არა მხოლოდ მოქმედებას აღწერს, არამედ მთხრობელის დამოკიდებულებასაც ავლენს.

ევფემიზმები ქართულ ზღაპრებში ხშირად გამოიყენება თხოვნის, მოლაპარაკებისა და ემოციური ზემოქმედების მიზნით. *წიქარაში* გვხვდება მიმართვები: „შემოგველოს შენი წიქარაო“, „შენი შვილების მზესა“, „შენი ბარტყების გაზრდასა“. ამგვარი ფორმულები გმირს საშუალებას აძლევს სიტყვით მოიპოვოს დახმარება.

დისფემიზმები კი პირიქით, ემსახურება ანტაგონისტის დამცირებას და ემოციური დაძაბულობის გაზრდას. გამოთქმები, როგორცაა „შე ქინქლაგ“, „შე ბრიყვო და ბაბაყურო“, „წყეული ღორი“. ქართულ კულტურულ კონტექსტში სიტყვა ხშირად აღიქმება როგორც ძალა, რომელსაც შეუძლია ფიზიკური დაპირისპირების ჩანაცვლება.

დიმინუტივები იტალიურ ზღაპრებში. იტალიური ხალხური ზღაპრები გამოირჩევა დიმინუტივების სიუხვით, რაც ქმნის ზღაპრულ, ხშირად ირონიულ ატმოსფეროს. *Giovannin senza paura*-ში გვხვდება ფორმები: *ragazzetto*, *Giovannino*, *porticina*, *scaletta*, *pietruzza*, რომლებიც ამცირებს საგანთა მასშტაბს.

Il pastore che non cresceva mai-ში დიმინუტივები კიდევ უფრო ინტენსიურად გამოიყენება: *pastore piccino*, *pastorello*, *donnina*, *piccina piccina*, *campanellini*. ეს ენობრივი საშუალებები ზღაპარს მსუბუქ, თამაშის ხასიათს ანიჭებს და საშიშ სიუჟეტურ მოვლენებს არბილებს. ამგვარად, დიმინუტივი არა მხოლოდ გრამატიკული ფორმაა, არამედ იტალიური ზღაპრისთვის დამახასიათებელი კულტურული სტრატეგია.

პერსონაჟთა სახელდება როგორც კულტურული კოდი. ხალხურ ზღაპრებში პერსონაჟთა სახელები ხშირად პირდაპირ უკავშირდება მათ მახასიათებლებს. ქართულ ზღაპარში *ნაცარქექია* თავად სახელითვე განისაზღვრება - ის „ნაცარს ქექავს“, რაც მის სოციალურ სტატუსსა და ქცევას გამოხატავს. *ცხრათავიანი დევი* რიცხვითი კომპონენტით უკიდურესი საფრთხის სიმბოლოდ იქცევა.

იტალიურ ზღაპრებში სახელდება ასევე შეფასებითია: *Giovannin senza paura* პირდაპირ ასახელებს გმირის მთავარ თვისებას, *Brutta-schiava* (*უმწო მონა*) ერთდროულად მიუთითებს გარეგნობასა და სოციალურ მდგომარეობაზე, ხოლო რაც შეეხება ზღაპრის გმირს *la bella Bargagliina* (ლამაზი ბარგალინა), აქ ბარგალინა ზღაპრული გამოგონილი სახელია, რაც იდეალიზებული ქალური სახეა. ასეთი სახელდების სისტემა მკითხველს თავიდანვე აძლევს ინფორმაციას პერსონაჟის როლზე და ამარტივებს ზღაპრის აღქმას.

მატერიალური კულტურა და ყოფითი რეალიები. ქართული ხალხური ზღაპრები მკაფიოდ ასახავს ტრადიციულ მატერიალურ კულტურას. *ნაცარქექიაში* ჩოხა არა მხოლოდ სამოსია, არამედ ფუნქციური ნივთი („ჩოხის კალთაში საგზლად ჭყინტი ყველი გამოუხვიეს“), რაც ქართულ ყოფით რეალიებს უსვამს ხაზს. ამავე ზღაპარში კეცი, ტრადიციული საცობი ჭურჭელია. *წიქარაში* სალამური ქართული მუსიკალური კულტურის სიმბოლოდ გვევლინება და მაგიურ ძალას იძენს.

იტალიურ ზღაპრებში მატერიალური გარემო უფრო მეტად დაკავშირებულია სივრცულ ობიექტებთან: *palazzo* (*სასახლე*), *locanda* (*სასტუმრო*), *mulino* (*წისქვილი*). ეს რეალიები ქმნიან ფონს, რომელშიც ზღაპრული მოვლენები ვითარდება.

დასკვნა. წინამდებარე კვლევაში განხორციელდა იტალიური და ქართული ხალხური ზღაპრების - *Giovannin senza paura*, *Il pastore che non cresceva mai*, *ნაცარქექია* და *წიქარა* - შეპირისპირებითი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ამ ზღაპრებში არსებული სიუჟეტური, ენობრივი და კულტურული პარალელებისა და განსხვავებების გამოვლენა, ასევე იმ უნივერსალური და უნიკალური მახასიათებლების დადგენა, რომლებიც თითოეულ ფოლკლორულ ტრადიციას განასხვავებს.

ანალიზმა აჩვენა, რომ ოთხივე ზღაპარში მოქმედებს საერთო ზღაპრული უნივერსალიები: გმირის სუსტი საწყისი პოზიცია, ანტაგონისტთან დაპირისპირება არა ძალით, არამედ გონიერებით, დევნის სიუჟეტური სტრუქტურა, „სამი ნივთის“ მოტივი და სამჯერ გამეორების პრინციპი. ეს ელემენტები ადასტურებს, რომ ხალხური ზღაპარი სხვადასხვა კულტურაში იზიარებს საერთო ნარატიულ ლოგიკას და არქეტიპულ მოდელებს.

ამავე დროს, კვლევამ მკაფიოდ წარმოაჩინა კულტურული განსხვავებები. ქართულ ზღაპრებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რიცხვს „ცხრა“, როგორც უკიდურესობისა და საბოლოო ბარიერის სიმბოლოს, მაშინ როცა იტალიურ ზღაპრებში დომინირებს სამეულის რიტმი. განსხვავებულია ასევე დროისა და სივრცის აღქმა: ქართულ ზღაპრებში სივრცე უფრო უსასრულო და სიმბოლურია, ხოლო იტალიურში - შედარებით კონკრეტული და ლოკალიზებული.

ენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ხალხური ზღაპრები გამოირჩევა ფრაზეოლოგიზმების, ევფემიზმებისა და დისფემიზმების სიუხვით, რაც ტექსტს ემოციურობასა და ზეპირსიტყვიერ ხასიათს სძენს. იტალიურ ზღაპრებში კი დიმიუტივების ფართო გამოყენება ქმნის მსუბუქ, ირონიულ ტონალობას.

პერსონაჟთა სახელდების ანალიზმა აჩვენა, რომ ორივე კულტურაში სახელები და მეტსახელები სემანტიკურ ფუნქციას ასრულებს და გმირთა თვისებებს თავიდანვე წარმოაჩენს: მატერიალური კულტურის ელემენტები - ჩოხა, კეცი, სალამური - ქართულში;

palazzo, mulino - იტალიურში კი ზღაპრულ სამყაროს კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში ათავსებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- თაგაური, გ. (2024). *ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების ეთნოლინგვისტური თავისებურებანი*. სადოქტორო დისერტაცია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბილისი.
- კიკნაძე, ზ. (2007). *ქართული ზეპირსიტყვიერება*. ლექციების კურსი. ელექტრონული რესურსი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ლომაია, ნ. (2012). *ემოციური დისკურსის პრაგმაკომუნიკაციური ასპექტები იტალიურ და ქართულ ენებში*. თბილისი.
- ომიაძე, ს. (2001). *ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება*. სადოქტორო დისერტაცია. არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი.
- ომიაძე, ს. (2006). *ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება*. თბილისი.
- ომიაძე, ს. (2009). დისკურსის დეფინიციათა ანალიზი. *წახნაგი. მემკვიდრეობა*. თბილისი.
- პროპი, ვ (1984). *ზღაპრის მორფოლოგია*. ქართ. თარგმანი. თბილისი: მეცნიერება.
- ჟორჟოლიანი, ქ. (2006). ზღაპრის სტრუქტურის მეცნიერული კვლევის ზოგადი ასპექტი. *საენათმეცნიერო ძიებანი*. XXI, 184–195.
- სვანიძე თ. (2018). *ფოლკლორული ტექსტის ლინგვოკულტურული თავისებურებები: იტალიური და ქართული ზღაპრების ეროვნულ-კულტურული კონოტაციების შეპირისპირებითი ანალიზი*. სამაგისტრო ნაშრომი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- შიომვილი, თ. (2022). *ქართული ზეპირსიტყვიერება*. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი.
- ჯაგოდნიშვილი, თ. (2004). *ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია*. თბილისი.
- Aura.ge (თ.გ.)ა. *ქართული ხალხური ზღაპრები - წიქარა*. მოძიებულია ვებგვერდიდან <https://www.aura.ge/103-saskolo/8416-qartuli-xalxuri-zghaprebi--tsiqara.html>
- Aura.ge (თ.გ.)ბ. *ქართული ხალხური ზღაპრები - ნაცარქექია*. მოძიებულია ვებგვერდიდან <https://www.aura.ge/103-saskolo/8413-qartuli-xalxuri-zghaprebi--nacaqeqia.html>
- Calvino, I. (1985). *Fiabe italiane: Raccolte e trascritte dalla tradizione popolare*. Torino: Giulio Einaudi Editore.
- Zaccagnino, A. (2024). *Italo Calvino e le Fiabe italiane* (PhD thesis), University of Basilicata. https://iris.unibas.it/retrieve/e35621ed-b2fe-4346-b566-af03285410d7/tesi_phd_Zaccagnino_Aurora.pdf

REFERENCES

- tagauri, g. (2024). *kartuli khalkhuri da lit'erat'uruli zghap'rebis etnolingvist'uri taviseburebani [Ethnolinguistic Features of Georgian Folk and Literary Fairy Tales]*. Doctoral Dissertation. Sukhumi State University, Faculty of Humanities. Tbilisi.

- k'ik'nadze, z. (2007). *kartuli zep'irsit'qviereba [Georgian Orality]*. Course of Lectures, Electronic Resource. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- lomaia, n. (2012). *emotsiuri disk'ursis p'ragmak'omunik'atsiuri asp'ekt'ebi it'aliur da kartul enebshi [Pragmacommunicative Aspects of Emotional Discourse in Italian and Georgian Languages]*. Tbilisi.
- omiadze, s. (2001). *kartuli disk'ursis lingvok'ult'urul shemadgenelta st'rukt'ura, semant'ik'a da punktсионireba [Structure, Semantics and Functioning of Linguocultural Components of Georgian Discourse]*. Doctoral Dissertation. Arnold Chikobava Institute of Linguistics. Tbilisi.
- omiadze, s. (2006). *kartuli disk'ursis lingvok'ult'urul shemadgenelta st'rukt'ura, semant'ik'a da punktсионireba [Structure, semantics and functioning of linguocultural components of Georgian discourse]*. Tbilisi.
- omiadze, s. (2009). *disk'ursis depinitsiata analizi [Analysis of discourse definitions]*. *ts'akhnagi. memk'vidreoba [Tsakhnagi. Heritage]*. Tbilisi.
- p'rop'i, v. (1984). *zghap'ris morfologia [Morphology of fairy tales]*. Georgian translation. Tbilisi: Metsniereba.
- zhorzholiani, k. (2006). *zghap'ris st'rukt'uris metsnieruli k'vlevis zogadi asp'ekt'i [General aspects of scientific research on fairy tale structure]*. *saenatmetsniro dziebani [Linguistic Research]*. XXI, 184–195.
- svanidze t. (2018). *polk'loruli t'ekst'is lingvok'ult'uruli taviseburebebi: it'aliuri da kartuli zghap'rebis erovnul-k'ult'uruli k'onot'atsiebis shep'irisp'irebiti analizi [Linguocultural features of folklore text: comparative analysis of national-cultural connotations of Italian and Georgian fairy tales]*. Master's thesis. Batumi Shota Rustaveli State University.
- shioshvili, t. (2022). *kartuli zep'irsit'qviereba [Georgian oral speech]*. Batumi: Batumi Shota Rustaveli State University, Faculty of Humanities, Center for Kartvelology.
- jagodnishvili, t. (2004). *kartuli polk'lorist'ik'is ist'oria [History of Georgian Folklore]*. Tbilisi.
- Aura.ge (n.d.)a. *kartuli khalkhuri zghap'rebi - ts'ikara [Georgian Folk Tales - Tsikara]*. Retrieved from <https://www.aura.ge/103-saskolo/8416-qartuli-xalxuri-zghap'rebi--tsiqara.html>
- Aura.ge (n.d.)b. *kartuli khalkhuri zghap'rebi - natsarkekia [Georgian folk tales - Natsarkekia]*. Retrieved from <https://www.aura.ge/103-saskolo/8413-qartuli-xalxuri-zghap'rebi--nacarqeqia.html>
- Calvino, I. (1985). *Fiabe italiane: Raccolte e trascritte dalla tradizione popolare*. Torino: Giulio Einaudi Editore.
- Zaccagnino, A. (2024). *Italo Calvino e le Fiabe italiane* (PhD thesis), University of Basilicata. https://iris.unibas.it/retrieve/e35621ed-b2fe-4346-b566-af03285410d7/tesi_phd_Zaccagnino_Aurora.pdf